ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ანგარიშგება 2020 წლის პირველი იანვრით დაწყებული და 31
დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის. ფინანსური ანგარიშგების თანხები
დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის მიხედვით. ხელმძღვანელობას
სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისთვის.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია
ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ
ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

3. სააღრიცხვო პოლიტიკა

ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს
გაცემულ ყველანაირ საგაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდის და პარტიის მოცულობაზე
დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები
ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება
და საკუთრების უფლება გადაეცემა.

მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით
საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება.
ხელმძღვანელობის სახელით:

სელჩუკ იალჩინ
დირექტორი

2021 წლის 10 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

11-24 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „იალჩინმარკეტ Yalcinmarket“-ის
ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

სხვა შემთხვევაში ამონაგები აღიარდება მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის
ფარგლებში.

სავაჭრო მოთხოვნები

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/მომსახურების მიყიდვიდან წარმოქმნილი
მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით,
გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

მომხმარებელზე ბიზნესის ჩვეულებრივი პირობებისგან განსხვავებული პირობებით უპროცენტო კრედიტით
საქონლის/მომსახურების) მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ საქონლის ნაღდი
ანგარიშსწორებით გასაყიდი მიმდინარე ფასით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული
ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა)
გათვალისწინებით.

ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოში განხორციელებული ინვესტიცია ფასდება
თვითღირებულებიდან დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

სასესხო ვალდებულებები

ბანკიდან მიღებული გრძელვადიანი სესხი ვალდებულების სახით აღიარდება გადასახდელი ფულადი სახსრების
(მათ შორის, გადასახდელი ძირი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით და საანგარიშგებო
პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

მიღებულ მოკლევადიან სესხთან დაკავშირებით წარმოქმნილი ვალდებულება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს
ფასდება გადასახდელი ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით, თუ
შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას არ წარმოადგენს.

დაკავშირებული მხარისაგან უპროცენტოდ ან საბაზრო განაკვეთზე დაბალი საპროცენტო განაკვეთით სესხის
მიღებიდან წარმოქმნილი ვალდებულება აღიარდება მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით,
რომელიც დისკონტირდება მსგავსი სავალო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო
განაკვეთით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური
საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/მომსახურების შეძენიდან წარმოშობილი
ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული
ღირებულებით.

უცხოურ ვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულების ნებისმიერი
ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივის გაუფასურების ზარალის შეფასება

ფინანსური აქტივებისთვის, რომელიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით გაუფასურების ზარალი
არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ
ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირებულია აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო
განაკვეთით. როდესაც ფინანსურ აქტივს გააჩნია ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი, დისკონტირების განაკვეთი

ხელმძღვანელობის სახელით:

სელჩუკ იალჩინ
დირექტორი

2021 წლის 10 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

11-24 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „იალჩინმარკეტ Yalcinmarket“-ის
ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

გაუფასურების ზარალის შეფასებისთვის გამოიყენება ხელშეკრულების მიხედვით განსაზღვრული მიმდინარე
ეფექტური საპროცენტო განაკვეთი.

ფინანსური აქტივებისთვის, რომელიც შეფასებულია თვითღირებულებიდან გაუფასურების ზარალის გამოკლების
შედეგად მიღებული თანხით, გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და იმ
თანხის საუკეთესო შეფასებას (რომელიც აუცილებლად იქნება მიახლოებითი სიდიდე) შორის, რომელსაც საწარმო
მიიღებდა მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში აქტივის გაყიდვის შემთხვევაში.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველაწარმოადგენს დანახარჯი აღიარდება როგორც ხარჯი იმ პერიოდის მოგებაში
ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი
გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

აქტივების ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების მისი სავარაუდო სასარგებლო მომსახურე-
ბის ვადაზე განაწილების მიზნით, ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალე-
ბებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

სასარგებლო გამოყენების ვადა წლებში:	
შენობა-ნაგებობა	50
სატრანსპორტო საშუალებები	5-10
ოფისის აღჭურვილობა	5-10
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	5-10

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირე-
ბულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება
პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი (სხვაობა
ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად წარმოქმნილი წმინდა შემოსულობასა და მის საბალანსო ღირებულებას
შორის) აღიარდება პერიოდის მოგებაში ან ზარალში და კლასიფიცირდება სხვა შემოსავლის ან სხვა ხარჯის სახით.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივის შეფასება ხდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი
გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

არამატერიალურ აქტივებს, ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე განაწილების მიზნით,
სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ერიცხებათ ამორტიზაცია წრფივი მეთოდით. ამორტიზაციის
დასარიცხად გამოიყენება წლიური განაკვეთი 15 პროცენტი.

ხელმძღვანელობის სახელით:

სელჩუკ იალჩინ
დირექტორი

2021 წლის 10 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

11-24 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ილჩინმარკეტ Yalcinmarket“-ის

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

საოპერაციო იჯარიდან შემოსავლის აღიარება ხდება შესაბამისი იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით. საოპერაციო იჯარის პირობებზე მოლაპარაკებისას გაწეული თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები საიჯარო აქტივების საბალანსო ღირებულებას ემატება და მისი აღიარება ხდება იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით. იმის დასადაგენად, გაუფასურდა თუ არა იჯარით გაცემული აქტივი, შეიჯარე იყენებს 27-ე განყოფილების მოთხოვნებს.

ანარიცხები

ანარიცხები აღიარდება იმ თანხის საუკეთესო შეფასებით, რომელიც აუცილებელი იქნებოდა (თანხა, რასაც საწარმო, გონივრულ ფარგლებში, დახარჯავდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს) ამ ვალდებულების დასაფარად საანგარიშგებო თარიღისათვის.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგის შემთხვევაში პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

დაგროვებადი ანაზღაურებადი შევსებულების მოსალოდნელი ღირებულება ფასდება, როგორც არადისკონტირებული დამატებითი თანხა, რომლის გადახდასაც საწარმო ვარაუდობს იმ გამოუყენებელი უფლებისათვის, რომელიც დაგროვდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის.

ხელმძღვანელობის სახელით:

სეილჟუკ იალჩინ
დირექტორი

2021 წლის 10 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

მურგენა მუჰამედი
ბუღალტერი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „იალჩინმარკეტ Yalcinmarket“-ის
ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება
საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი
მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა
პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო
კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

მოგების გადასახადი

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება (აქტივი) ფასდება იმ თანხით, რომლის გადახდა (ანაზღაურება) მოსა-
ლოდნელია საანგარიშგებო თარიღისთვის ძალაში შესული საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სსკ)
განსაზღვრული საგადასახადო განაკვეთისა და ბეგრის პრინციპების გათვალისწინებით.

სსკ-ის მიხედვით საწარმოსათვის მოგების გადასახადით დაბეგრის ობიექტია: განაწილებული მოგება; გაწეული
ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის; უსასყიდლოდ საქონლის
მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა; კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე
მეტე ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

მოგების გადასახადით დაბეგრის ობიექტი, დივიდენდის სახით განაწილებული მოგების გარდა, იბეგრება
დაბეგრის ობიექტის წარმოშობისთანავე და საგადასახადო ვალდებულება აღიარდება ყოველი საანგარიშგებო თვის
ბოლოს. საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით გასანაწილებელ დივიდენდთან დაკავშირებული
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ფასდება გაუნაწილებელი მოგების მიმართ გამოსაყენებელი
საგადასახადო განაკვეთით მანამ, სანამ საწარმო აღიარებს დივიდენდების გადახდის ვალდებულებას.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე
მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ,
აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ
მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური
ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

4. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

საწარმო აკვირდება ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა ცვლილება აქტივის გამოყენების წესში, მნიშვნელოვანი
გაუთვალისწინებელი ფიზიკური ცვეთა, ტექნოლოგიური მიღწევები და საბაზრო ფასების ცვლილებები,
რომელიც შეიძლება მიანიშნებდეს, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულება ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადა
შეიცვალა უკანასკნელი საანგარიშგებო თარიღის შემდეგ. თუ არსებობს რაიმე მსგავსი ნიშნები, საწარმო
გადახედავს წინა შეფასებებს და თუ ახლანდელი შეფასებები მნიშვნელოვნად განსხვავდება წინა შეფასებებისგან,
შეცვლის აქტივის ნარჩენი ღირებულებას, ცვეთის მეთოდს ან სასარგებლო მომსახურების ვადას. საწარმომ აქტივის
ნარჩენი ღირებულების, ცვეთის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება ასახავს, როგორც
სააღრიცხვო შეფასების ცვლილებას.

ხელმძღვანელობის სახელით:

სელჩუკ იალჩინ
დირექტორი

2021 წლის 10 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

11-24 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „იალჩინმარკეტ Yalcinmarket“-ის

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის (შენიშვნა 4) გამოყენებისას ხელმძღვანელობას მოეთხოვება მსჯელობის, შეფასებებისა და დაშვებების გამოყენება იმ აქტივებისა და ვალდებულებების მიმართ, რომელთა ღირებულება გარკვევით ვერ მიიღება სხვა წყაროებიდან. შეფასებები და დაკავშირებული დაშვებები ემყარება წარსულ გამოცდილებას და სხვა შესაფერის ფაქტორებს.

ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა.

განუსაზღვრელობის შეფასების ძირითადი წყაროებია -

სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხელმძღვანელობის მსჯელობის საკითხია. მსგავს აქტივებთან დაკავშირებით მათ გამოცდილებაზე დაყრდნობით. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მოსალოდნელ მოხმარებას, ტექნიკური მოძველების შეფასებას, ფიზიკურ ცვეთასა და იმ ფიზიკურ გარემოს, სადაც იყენებენ ამ აქტივს. ამ გარემოებების ან შეფასებების ცვლილებამ შეიძლება განაპირობოს სამომავლო ცვეთის განაკვეთების შესწორება.

5. ამონაგები

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	15,882,366	19,403,952
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	15,882,366	19,403,952

6. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	12,943,906	17,006,989
სულ გაყიდული საქონლის თვითღირებულება	12,943,906	17,006,989

7. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
შრომის ანაზღაურება	1,474,807	2,094,919
ცვეთა და ამორტიზაცია	511,428	582,278
საიჯარო ქირა	602,919	495,873
კომუნალური ხარჯები	377,149	435,786
სატრანსპორტო ხარჯი	26,179	112,508
სხვა	51,954	205,700
ბანკის საკომისიო	82,111	75,392
მომსახურების ხარჯები	76,592	55,681
საპენსიო ხარჯი	32,557	54,121
კომუნიკაციის ხარჯები	31,454	30,002
ქონების გადასახადი	-	28,678
რეკლამის ხარჯი	10,471	5,941
აუდიტორული მომსახურება	-	21,810
საოფისე ხარჯი	5,981	8,501
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	3,283,601	4,207,190

ხელმძღვანელობის სახელით:

სელჩუკ იალჩინ
დირექტორი

2021 წლის 10 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

11-24 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „იალჩინმარკეტ Yalcinmarket“-ის
 ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 (ქართულ ლარში)

8. არარეგულარული ხარჯები

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
სხვა ხარჯები		
რემონტის ხარჯი	48,223	2,152
ჯარიმები	190	2,843
სულ არარეგულარული ხარჯები	17,717	8,353
	66,130	13,348

ხელმძღვანელობის სახელით:

სელჩუკ იალჩინ
 დირექტორი

2021 წლის 10 სექტემბერი
 ბათუმი, საქართველო

11-24 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



შორენა მიქაძე
 ბუღალტერი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ილჩინმარკეტ Yalcinmarket“-ის
 ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
 2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
 (ქართული ლარი)

9. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივი

სამაღსო ღირებულება	შენიშნები	სატრანსპორტო საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა და სხვა ინვენტარი	იჯარით აღებული ქირების კეთილმოწყობა	არამატერიალური აქტივები	სულ
დეკემბერი 31, 2018	4,950,000	268,078	2,678,347	442,102	13,485	8,352,013
მატება	127,768	-	99,008	191,316	-	418,092
კლება	-	-	(27,915)	-	-	(27,915)
დეკემბერი 31, 2019	5,077,768	268,078	2,749,441	633,418	13,485	8,742,190
მატება	-	-	287,018	201,764	1,000	489,782
კლება	-	-	-	-	-	-
დეკემბერი 31, 2020	5,077,768	268,078	3,036,459	835,182	14,485	9,231,972
დაგროვებული ცვეთა და გაუფასურება	-	-	-	-	-	-
დეკემბერი 31, 2018	(115,500)	(67,576)	(519,760)	(219,852)	(420)	(923,109)
მიმდინარე წლის ცვეთა	(99,000)	(27,923)	(327,758)	(126,698)	(899)	(582,278)
ცვეთის ამოღრუვება გასცვისებაზე	-	-	-	-	-	-
დეკემბერი 31, 2019	(214,500)	(95,499)	(847,518)	(346,550)	(1,318)	(1,505,386)
მიმდინარე წლის ცვეთა	(101,555)	(26,808)	(296,687)	(83,518)	(2,173)	(510,741)
ცვეთის ამოღრუვება გასცვისებაზე	-	-	-	-	-	-
დეკემბერი 31, 2020	(316,055)	(122,307)	(1,144,205)	(430,068)	(3,491)	(2,016,127)
ნარჩენი ღირებულება	-	-	-	-	-	-
დეკემბერი 31, 2018	4,834,500	200,502	2,158,587	222,250	13,065	7,428,904
დეკემბერი 31, 2019	4,863,268	172,579	1,901,923	286,868	12,166	7,236,804
დეკემბერი 31, 2020	4,761,712	145,771	1,892,254	405,114	10,993	7,215,845

ძირითადი საშუალებების პირვანდელი ღირებულება არის აქტივის შესაძენად მისი შეძენის მომენტში გადახდილი (გადასახდელი)

ხელმძღვანელობის სახელით:

სელაჩე იალჩინ
 დირექტორი

2021 წლის 10 სექტემბერი
 ბათუმი, საქართველო

ზორენა მუქაძე
 ბუღალტერი

11.24 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „იალჩინმარკეტ Yalchinmarket“-ის

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

(*კრთული დაიწყო*)

(ა) მისი ნასყიდობის ფასი, მათ შორის, იურიდიული და საბროკერო მომსახურების ღირებულება, სამხორტო საბაჟო გადასახადები და შეყიდვის დაუზრუნავი გადასახადები, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე;

(ბ) ნებისმიერი დანახარჯი, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან;

(გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველი შეფასება, რისი ვალ-დებულებაც საწარმომ აიღო შეძენის მომენტში, ან შემდეგში.

ვინაიდან მოსალოდნელია გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსულობა გადააქარბებს აქტივისა და მასთან დაკავშირებული ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებას, არ მომხდარა გაუფასურების ზარალის აღიარება.

არამატერიალურ აქტივებს, ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე განაწილების მიზნით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ერიცხებათ ამორტიზაცია წრფივი მეთოდით

ხელმძღვანელობის სახელით:

სელაჟ იალჩინ
დირექტორი

2021 წლის 10 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

შორენა მუხამბე
ბუღალტერი



11-24 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „იალჩინმარკეტ Yalcinmarket“-ის
 ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 (ქართულ ლარში)

10. მარაგი

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
საქონელი	1,905,152	1,608,242
ნედლეული და მასალები	47,609	87,948
სხვა მარაგები	989	5,057
ჯამი	1,953,750	1,701,246
პერიოდის ხარჯად აღიარებული მარაგის თვითღირებულება	12,943,906	17,006,989
დაგირავებული მარაგების საბალანსო ღირებულება	-	-

11. დებიტორული დავალიანება და ავანსები

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო დებიტორები	94,866	99,410
გაუფასურების ზარალის თანხა	-	-
სავაჭრო დებიტორების საბალანსო ღირებულება	94,866	99,410
მ.შ. დაკავშირებული მხარეებისაგან მისაღები	-	-
სხვა მხარეებისაგან მისაღები	94,866	99,410
წინასწარი გადახდები	-	-
მოთხოვნები დარიცხული შემოსავლებიდან	-	-
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	94,866	99,410

12. ფულადი სახსრები და ექვივალენტები

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ფულადი სახსრები სალაროში	354,866	4,475
ფულადი სახსრები ბანკის მიმდინარე ანგარიშებზე ეროვნულ ვალუტაში	93,027	857,227
ფულადი სახსრები ბანკის მიმდინარე ანგარიშებზე უცხოურ ვალუტაში	-	182
სულ ფულადი სახსრები და ექვივალენტები	447,893	861,884

13. საწესდებო კაპიტალი

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
საწარმოს პარტნიორების კაპიტალი წესდების მიხედვით	100	100
საწარმოს პარტნიორების ვალდებულება კაპიტალის შეესებაზე	-	-
შეესებული კაპიტალის ოდენობა	100	100
სულ საწესდებო კაპიტალი	100	100

ხელმძღვანელობის სახელით:

სელჩუკ იალჩინ
 დირექტორი

2021 წლის 10 სექტემბერი
 ბათუმი, საქართველო

11-24 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „იალჩინმარკეტ Yalcinmarket“-ის
ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

14. სესხები

მიღებული სესხები და გადასახდელი პროცენტები

სესხის ნომერი	ვადა	ვალუტა	წლიური პროცენტი	ნაშთი 31.12.2019 ვალუტა	ნაშთი 31.12.2019 ექვივალენტი	ნაშთი 31.12.2020 ვალუტა	ნაშთი 31.12.2020 ექვივალენტი
სს თიბისი ბანკი	გრძელვადიანი	USD	7.50%	1,602,429	4,595,286	1,234,699	4,045,616
სესხი 2488913-11142531	გრძელვადიანი	GEL	12.00%	-	1,999,877	-	782,171
სესხი 2488913-11142639	გრძელვადიანი	GEL	12.00%	-	-	-	1,000,000
სესხი .# 2488913-10847217	გრძელვადიანი	GEL	12.00%	-	-	-	1,682,780
ისმაილ იალჩინი	გრძელვადიანი	GEL	12.00%	-	6,988	-	-
სულ ნასესხები გრძელვადიანი სახსრები				1,602,429	6,602,151	1,234,699	7,510,566

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული მიღებული სესხები

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
გრძელვადიანი სესხები	7,510,566	6,602,151
მოკლევადიანი სესხები		
ჯამი	7,510,566	6,602,151

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული მიღებული სესხები საპროცენტო ხარჯმა შეადგინა

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
გრძელვადიანი სესხები	527,032	582,333
მოკლევადიანი სესხები		
ჯამი	527,032	582,333

გაცემული სესხები

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული გაცემული სესხები

სესხის ნომერი	ვალუტა	ნაშთი 31.12.2019 ექვივალენტი	ნაშთი 31.12.2020 ექვივალენტი
სს ია-ფეთ იალჩინ პეტროლ თურიზმ თიჯარეთის წარმადგენლობა საქართველოში	GEL	34,059	34,110
სულ ნასესხები გრძელვადიანი სახსრები		34,059	34,110

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული გაცემული სესხებიდან პროცენტის სახით მიღებულმა შემოსავალმა
საანგარიშგებო პერიოდში შეადგინა:

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
გრძელვადიანი სესხები	-	3,406
მოკლევადიან დეპოზიტზე დარიცხული ფულადი სახსრები	4,887	8,138
ჯამი	4,887	11,544

ბანკის სესხი უზრუნველყოფილია კომპანიის მთელი არსებული და სამომავლო მოძრავი და არამატერიალური
ქონებრივი სიკეთით.

ხელმძღვანელობის სახელით:

სელაჟკ იალჩინ
დირექტორი

2021 წლის 10 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

11-24 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „იალჩინმარკეტ Yalcinmarket“-ის
ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო ვალდებულებები		
მ.შ. დაკავშირებული მხარეებისათვის გადასახადელი	9,853,038	10,604,015
სხვა მომწოდებლებისათვის გადასახადელი	4,904,628	4,844,628
წინასწარ მიღებული თანხები	4,948,410	5,759,387
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9,853,038	10,767,051

16. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

ზოგადად, მხარეები დაკავშირებულად ითვლებიან, თუ ისინი საერთო კონტროლის ქვეშ არიან ან ერთ მხარეს აქვს მეორე მხარის კონტროლის უნარი ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ან ერთობლივი კონტროლი განახორციელოს მეორე მხარეზე ფინანსური და საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. დაკავშირებული მხარის თითოეული შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის შინაარსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას.
კომპანიის მაკონტროლებელ მხარეს წარმოადგენს სელჩუქ იალჩინ, 61301094449 /ორმაგი მოქალაქე საქართველო, თურქეთი/

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
დაუფარავი ნაშთების თანხა:		
მოთხოვნები მაკონტროლებელ ან მნიშვნელოვანი გავლენის მქონე საწარმოების მიმართ	34,110	34,059
სულ მოთხოვნები	34,110	34,059
ოპერაციები დაკავშირებულ საწარმოებთან		
მომსახურების შესყიდვა	60,000	60,000
სულ ოპერაციები	60,000	60,000
დაუფარავი ნაშთების თანხა:		
ვალდებულებები მაკონტროლებელ გავლენის მქონე საწარმოების წინაშე	4,904,628	4,844,628
სულ ვალდებულებები	4,904,628	4,844,628
უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირების ანაზღაურების (კომპენსაციის) მთლიანი თანხა	35,000	35,000

17. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ არ მომხდარა რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა.

18. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2021 წლის 10 სექტემბერი

ხელმძღვანელობის სახელით:

სელჩუქ იალჩინ
დირექტორი

2021 წლის 10 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

11-24 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „იალჩინმარკეტ Yalcinmarket“-ის

მმართველობის ანგარიშგება

(2020 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული წლისათვის)

ბათუმი 2021 წელი



[Handwritten signature]

2020 წლის მმართველობის ანგარიშგება

შპს „იალჩინმარკეტ Yalcinmarket“, როგორც ცალკე სამეწარმეო სუბიექტი დაარსდა 2013 წელს 30 ივლისს კომპანიის იურიდიული მისამართია; საქართველო, ქ. ბათუმი, ქუჩა ჰ.აბაშიძე/გ.ბრწყინვალე, N57/68, კომერციული ფართი N1, კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სასურსათო და არასასურსათო პროდუქციის წარმოება და მისი რეალიზაცია. დღესდღეობით კომპანიას აქვს გახსნილი (ცხრა) ერთეული მრავალდარგობრივი მაღაზიამარკეტი რომლებიც აწარმოებს სხვადასხვა დასახელების პროდუქციის რეალიზაციას, სხვადასხვა სახეობის პროდუქციის შეძენას, აწარმოებს თურქეთის სახელმწიფოდან იმპორტის შემოტანას მისი შემდგომი რეალიზაციის მიზნით. შპს „იალჩინმარკეტ Yalcinmarket“ არის ქსელური ჯგუფი, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა სუპერმარკეტების ქსელს და აწარმოებს ხორცპროდუქტების, ნახევარფაბრიკატების, თევზულის, რძის ნაწარმის, პურ-ფუნთუშეულის, სალათების, გაყინული საკონდიტრო პროდუქციის რეალიზებას, აგრეთვე კვების პროდუქტებისა და სასმელების იმპორტიორ კომპანიებს. შპს „იალჩინმარკეტ Yalcinmarket“-ს გააჩნია საკუთრებაში მოძრავი ქონება, ბრენდირებული ავტომანქანები, როგორც სატვირთო, ასევე მისაბმელიანი.

კომპანიის მიმოხილვა და განვითარების ისტორია მუდმივი განვითარების, ხარისხის სტანდარტების ზრდის, მომხმარებელთა ლოიალურობის კვალობაზე „იალჩინმარკეტი“ უკვე წლებია ჩამოყალიბდა როგორც ერთერთი ყველაზე ღირებული ბრენდი საქართველოში. კომპანიის წარმოება იყოფა ორ მიმართულებად: მზა პროდუქტები და საკონდიტრო ნაწარმი. კომპანია თავისი საქმიანობის სფეროში ეწევა ნოვაციას, რაც გულისხმობს შემდგომ; კონკრეტულ საქონელზე მომხმარებლის მიერ პროდუქციის შეძენის შემთხვევაში გროვდება ბონუსები და დაგროვილი ქულების საშუალებით შესაძლებელია ნებისმიერი სახეობის პროდუქციის შეძენა, ასევე კომპანიამ შეიმუშავა ბონუს სისტემა მხოლოდ და მხოლოდ სოციალურად დაუცველსა და პენსიონერს ეძლევა საშუალება წარმოადგინოს სოც და საპენსიო ბარათი, რომლის საშუალებითაც დააკლდება შეძენილ პროდუქციის ღირებულებას 5%-ის ოდენობით.

შპს „იალჩინმარკეტ Yalcinmarket“ ზრუნავს თავისი ბიზნესის განვითარებისა და კომპანიის იმიჯის ამაღლების მხრივ, მომხმარებელთან მომსახურების ხარისხის ამაღლებას, კონკურენციის გაძლიერებას, კორპორაციული მართვის ხელშეწყობასა და ბიზნეს სტანდარტების დანერგვას პროდუქციის ხარისხის.

2020 წელს საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი 15,882,366 ლარს შეადგენს, მიმდინარე წელს მიღწეული შედეგები გვაძლევს რწმენას იმისას, რომ, ხელსაყრელ გარემოებებში, მომავალში შესძლებს გააუმჯობესოს მიღწეული მაჩვენებლები. დასახული მიზნების თანმიმდევრული მიღწევით, რთული ამოცანების გადაჭრით, კომპანიას განზრახული აქვს გააგრძელოს მუშაობა ტექნიკის განახლებაზე, ახალი ტექნოლოგიების დანერგვაზე, მართვის სისტემის სრულყოფაზე, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაზე და ფინანსურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ამაღლებაზე.

კომპანია ისწრაფვის იყოს ლიდერი კონკრეტულ ბაზარზე, სრულად დააკმაყოფილოს მომხმარებლის მოთხოვნილებები და ამით გაამართლოს მასზე დამყარებული ნდობა. ჩვენი პოლიტიკა ხარისხის სფეროში მიმართულია რესურსების და პროცესების მუდმივი გაუმჯობესებისა და სრულყოფისაკენ, რათა ავამაღლოთ მომხმარებლის კმაყოფილების დონე.

კომპანია პერმანენტულად აცნობს კომპანიაში დასაქმებულ პერსონალს გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ მასალებს მუდმივი ეკოლოგიური კონტროლის სისტემის უზრუნველსაყოფად.

პერსონალის თითოეული წევრის კომპეტენტურობა განისაზღვრება პროფესიონალური მომზადების, კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების დონით. შრომისუნარიანობის შეფასების შემდეგ ისახება მუშაკთა შესაძლებლობათა ზრდის გეგმა. ხოლო მათი პროფესიული დონის ამაღლების მიზნით, ადგილობრივი და საერთაშორისო კომპანიები რეგულარულად აწვებენ სხვადასხვა სახის ტრეინინგებს.

წარმატებები, რომელიც მიღწეულია კომპანიაში მომუშავე გამოცდილი პროფესიული კადრების დამსახურებაა, თანამედროვე ტექნოლოგიების სწრაფი განახლებისთვის გადავდგით ნაბიჯი ახალგაზრდებთან მიმართებაში, რომლებიც უკვე წლებია ჩვენთან ერთად საქმიანობენ და თეორიულ ცოდნასთან ერთად იღებენ პრაქტიკულ გამოცდილებას.

2020 წელს მარკეტში სულ დასაქმებული იყო საშუალოდ 220 ადამიანი, აქედან 20% კაცი, 80 % ქალი

საზოგადოების მართვა/საზოგადოების კრება

საერთო კრება წარმოადგენს საზოგადოების მართვის უმაღლეს ორგანოს. საკუთარი საქმიანობის წარმართვისას პარტნიორთა საერთო კრება ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით და საზოგადოების წესდებით.

საზოგადოების დირექტორი

საზოგადოების წესდების შესაბამისად, ერთპიროვნული აღმასრულებელი ორგანოს უფლებამოსილებას ახორციელებს დირექტორი სელჩუქ იალჩინ, რომელიც ასევე წარმოადგენს 100 % წილის მფლობელს.

მართვის სტრუქტურა

კომპანიაში შინაგანაწესი შემუშავებული და დამტკიცებულია კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. შინაგანაწესის მიზანია საწარმოს წესდებით განსაზღვრული ფუნქციების სრულყოფილად განხორციელება. განმარტებულია სამუშაო დროის და პირობების, მუშაკთა უფლებების, მოვალეობების და პასუხისმგებლობების შესახებ.

ყველა სტრუქტურული ერთეულის და თანამდებობის მიხედვით მომზადებულია თანამდებობრივი უფლებამოსილებები, რომელიც თითოეული თანამშრომლის სამოქმედო გეგმაა.

დირექტორი საზოგადოების მართვას ახორციელებს ქვემოთ მოცემული სტრუქტურის მეშვეობით.

- 1 საფინანსო სამსახური
- 2 შესყიდვების სამსახური
- 3 მონიტორინგის სამსახური
- 4 დაცვის სამსახური
- 5 კადრები

განვითარების პერსპექტივები

საზოგადოების განვითარების ძირითადი პერსპექტივებია:

1. საზოგადოების შემოსავლების ზრდა და დებიტორული დავალიანების შემცირება;
2. მომხმარებლების მომსახურების საიმედოობის და ხარისხის ამაღლება;
3. არსებული ძირითადი საშუალებების ექსპლოატაცია ნორმების და მისთვის განსაზღვრული პირობების შენარჩუნებით, თავისდროული მიმდინარე და კაპიტალური შეკეთება;

განვითარების რესურსები:

კომპანია საქმიანობის მაღალხარისხიანად შესრულებისთვის სისტემატიურად ანხორციელებს ინვენსტიციებს მანქანა-მოწყობილობების შესაძენად. დღევანდელი მოთხოვნების შესასრულებლად საჭიროა თანამედროვე, მაღალტექნოლოგიური მანქანა-მოწყობილობები.

სოციალური და დასაქმების საკითხები

კომპანიის წარმატებით ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვანია მომუშავე პერსონალი. ამ საკითხებთან მუშაობს დამიანურ რესურსების მართვის სამსახური.

პერსონალთან მუშაობა იწყება მიღების დღიდან. პირველ რიგში ვაცნობთ საწარმოს შიდა განაწესს, თანამდებობრივ ინსტრუქციას, უსაფრთხოების წესებს და სამსახურში მიღება ხდება საგამოცდო ვადით.

მუშაკის მოტივაციის გაზრდის მიზნით შემუშავებული გვაქვს თანრიგების სისტემა, თითოეულ თანრიგს აქვს თავის ანაზღაურება. საწარმოში ანაზღაურება გვაქვს საათობრივი, დღიურად, შესრულებული ერთეულის მიხედვით და სარგო. აღნიშნული სისტემა შემუშავებულია წინა პერიოდების გამოცდილებით და ემსახურება პერსონალის მოტივაციის გაზრდას, სამართლიან ანაზღაურებას და საბოლოო ჯამში სამუშაოს ხარისხიანად და დროულად შესრულებას.

თანამშრომლებისთვის გვაქვს კორპორაციული დაზღვევა. მკაცრად ხდება შრომის კოდექსით მოთხოვნილი პირობების დაცვა.

მუშაკს მოეთხოვება მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულება, მისი დარღვევისთვის სასჯელი განსაზღვრულია გაფრთხილებიდან განთავისუფლებამდე.

კომპანია უზრუნველყოფს, თანამშრომლებისთვის სისტემატიურ ყოველთვიურ ანაზღაურებას, მათი შრომისუნარიანობისა და კვალიფიკაციის ზრდას. კომპანიის მიზანი საზოგადოების მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფაა.

კომპანია ითვალისწინებს, რომ ახალგაზრდობა წარმოადგენენ ქვეყნის სამუშაო ძალის სოლიდურ ნაწილს და ქვეყნის მომავალს, რომელთა სასტარტო სამუშაო პირობებზე დიდწილადაა დამოკიდებული მათი შემდგომი განვითარება და კვალიფიციურ პროფესიონალებად ჩამოყალიბება. ზრუნავს ახალგაზრდა თაობის დასაქმებაზე, აცხადებს ვაკანსიებს, ორ თვიანი სტაჟირების და გამოსაცდელი ვადის შემდეგ კი ხდება ახალგაზრდა კადრების შტატში აყვანა.

კომპანია მუშაობს გამჭვირვალედ და სამართლებრივი ჩარჩოების ფარგლებში, ასევე მჭიდროდ თანამშრომლობს ნებისმიერ ორგანიზაციასთან ადამიანთა უფლებათა დაცვის საკითხების სათანადო შესწავლის და დაცვის მიზნით განხორციელებულ ღონისძიებებში.

გარემოს დაცვა და ნარჩენების მართვა

გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესახებ კომპანია ახორციელებს თვითკონტროლსა და თვითმონიტორინგს.

კომპანიის მიერ მონიტორინგის ორგანიზება წარმოადგენს შემდეგი ამოცანების გადაჭრას:

- ექსპლუატაციის დროს მოქმედი გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულება;
- რისკების თავიდან აცილება და მოსალოდნელი მავნე ზემოქმედების კონტროლი;
- დაინტერესებული პირების უზრუნველყოფა სათანადო გარემოსდაცვითი ინფორმაციით;

გამუდმებით ვცდილობთ თავიდან ავიცილოთ, მინიმუმამდე შევამციროთ და შევარბილოთ ჩვენი საქმიანობით გამოწვეული ზემოქმედება გარემოზე.

მმართველობის ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა მმართველობითი ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2021 წლის 10 სექტემბერი.

დირექტორი:

სელჩუქ იალჩინ

